საქართველოს დიალიზის, ნეფროლოგიისა და თირკმლის ტრანსპლანტაციის კავშირი
თბილისი, წინანდლის ქ. №9, 0144, ტელ (+995 32) 2 755 755
DIALYSIS, NEPHROLOGY AND KIDNEY TRANSPLANTATION UNION OF GEORGIA
TBILISI, TSINANDALI ST. 9, 0144, TEL (+995 32) 2 755 755

N4

28.02.2019

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის პირველ მოადგილეს ზაზა ბოხუას

ბატონო ზაზა,

საქართველოში გვამური ტრანსპლანტაციის დაწყება შესაძლებელია სამი ფაქტორის ერთდროულად უზრუნველყოფის პირობებში:

1. შესაბამისი კანონმდებლობა;
2. ადეკვატური ინფრასტრუქტურის არსებობა;
3. მოსახლეობის ყველა ჯგუფების ინფორმირება და ჩართულობა.

დღეისათვის წარმატებულად მიმდინარეობს გვამურ ტრანსპლანტაციასთან მიმართებაში ჩვენი კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროპულთან.

დღის წესრიგში დგას შემდგომი ორი ფაქტორის ამოქმედების აუცილებლობა.

დღეისათვის არ არის ცნობილი გვამურ ტრანსპლანტაციასთან ასოცირებული თავის ტვინის სიკვდილის შემთხვევათა სტატისტიკა. ქვეყანაში არსებული მულტიპროფილური კლინიკების რეანიმაციულ განყოფილებებში დანერგილია პრაქტიკა, რომელიც გულისხმობს თავის ტვინის სიკვდილის შემდგომ რეანიმაციული ღონისძიებების გაგრძელებას. გვამური ტრანსპლანტაციის დანერგვა მოითხოვს რეანიმაციული სამსახურის მიერ ამ სტრატეგიის ცვლილებას.

პროცესის დაჩქარების მიზნით აუცილებელია ტრანსპლანტაციის საბჭოს ინიციატივით დაუყოვნებლივ დაიწყოს რეანიმაციულ სამსახურებში თავის ტვინის სიკვდილის დიაგნოზის სტანდარტების დანერგვა და დიაგნოსცირების შემდგომი მოქმედებების კონცეფციის შემუშავება. ეს შექმნის ინფრასტრუტურის შემდგომი ოპტიმიზაციის საფუძველს.

მესამე მნიშვნელოვანი ფაქტორი დაკავშირებულია ამ საკითხზე მოსახლეობის სტერეოტიპული დამოკიდებულების ბარიერთან. მნიშვნელოვანია მისი შეცვლა ყველა ასაკობრივი, სოციალური თუ სხვა ჯგუფებისათვის მისაღების ფორმით ინფორმირების გზით. უპირველეს ყოვლისა, მოსახლეობისათვის გასაგები უნდა გახდეს ერთის მხრივ, თავის ტვინის სიკვდილის და მეორეს მხრივ, ტრანსპლანტაციის არსი და მნიშვნელობა.

გვამურ ტრანსპლანტაციის ინიცირებისათვის საჭირო ღონისძიებათა ჩატარება და მათი კოორდინაციის უფლებამოსილება გააჩნია სახელმწიფო სტრუქტურებს, როგორც საკანონმდებლო, ასევე დარგში პოლიტიკის განმახორციელებელ ორგანოს - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კავშირი მზად არის თანამშომლობისათვის.

პატივისცემით,

ირმა ჭოხონელიძე

კავშირის თავმჯდომარე

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სამინისტრო
შემავ. № 28662
"28" 02 2019 წ.
დეპარტამენტი

docmanager

From:	info
Sent:	Thursday, February 28, 2019 2:22 PM
To:	docmanager
Subject:	FW: საქართველოს დიალიზის, ნეფროლოგიისა და თირკმლის ტრანსპლანტაციის კავშირი
Attachments:	Scan1.PDF

From: Nata Metreveli [mailto:natametr@gmail.com]
Sent: Thursday, February 28, 2019 2:21 PM
To: info; Nana Kalmakhelidze
Subject: Fwd: საქართველოს დიალიზის, ნეფროლოგიისა და თირკმლის ტრანსპლანტაციის კავშირი

N4

28.02.2019

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველ მოადგილეს ზაზა ბოხუას

ბატონო ზაზა,

საქართველოში გვამური ტრანსპლანტაციის დაწყება შესაძლებელია სამი ფაქტორის ერთდროულად უზრუნველყოფის პირობებში:

1. შესაბამისი კანონმდებლობა;
2. ადეკვატური ინფრასტრუქტურის არსებობა;
3. მოსახლეობის ყველა ჯგუფების ინფორმირება და ჩართულობა.

დღეისათვის წარმატებულად მიმდინარეობს გვამურ ტრანსპლანტაციასთან მიმართებაში ჩვენი კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროპულთან.

დღის წესრიგში დგას შემდგომი ორი ფაქტორის ამოქმედების აუცილებლობა.

დღეისათვის არ არის ცნობილი გვამურ ტრანსპლანტაციასთან ასოცირებული თავის ტვინის სიკვდილის შემთხვევათა სტატისტიკა. ქვეყანაში არსებული მულტიპროფილური კლინიკების რეანიმაციულ განყოფილებებში დანერგილია პრაქტიკა, რომელიც გულისხმობს თავის ტვინის სიკვდილის შემდგომ რეანიმაციული ღონისძიებების გაგრძელებას. გვამური ტრანსპლანტაციის დანერგვა მოითხოვს რეანიმაციული სამსახურის მიერ ამ სტრატეგიის ცვლილებას.

პროცესის დაჩქარების მიზნით აუცილებელია ტრანსპლანტაციის საბჭოს ინიციატივით დაუყოვნებლივ დაიწყოს რეანიმაციულ სამსახურებში თავის ტვინის სიკვდილის დიაგნოზის სტანდარტების დანერგვა და დიაგნოსცირების შემდგომი მოქმედებების კონცეფციის შემუშავება. ეს შექმნის ინფრასტრუტურის შემდგომი ოპტიმიზაციის საფუძველს.

მესამე მნიშვნელოვანი ფაქტორი დაკავშირებულია ამ საკითხზე მოსახლეობის სტერეოტიპული დამოკიდებულების ბარიერთან. მნიშვნელოვანია მისი შეცვლა ყველა ასაკობრივი, სოციალური თუ სხვა ჯგუფებისათვის მისაღების ფორმით ინფორმირების გზით. უპირველეს ყოვლისა, მოსახლეობისათვის გასაგები უნდა გახდეს ერთის მხრივ, თავის ტვინის სიკვდილის და მეორეს მხრივ, ტრანსპლანტაციის არსი და მნიშვნელობა.

- გვამურ ტრანსპლანტაციის ინიცირებისათვის საჭირო ღონისძიებათა ჩატარება და მათი კოორდინაციის უფლებამოსილება გააჩნია სახელმწიფო სტრუქტურებს, როგორც საკანონმდებლო, ასევე დარგში პოლიტიკის განმახორციელებელ ორგანოს - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კავშირი მზად არის თანამშომლობისათვის.

პატივისცემით,

ირმა ჭოხონელიძე

კავშირის თავმჯდომარე